დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 63 (11067) | კვირა, 16 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ, 1958 წლის 16 მარტს ერთსულოვნად გამოცხადდეთ საარჩევნო ყუთებთან, რათა შეასრულოთ თქვენი მოქალაქეობრივი ვალი. არ უნდა იყოს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც არ ისარგებლებს საპატიო მოქალაქეობრივი უფლებით—აირჩიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

დაე 16 მარტი გახდეს საბჭოთა დემოკრატიის ახალი გამარჯვების დღე, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია!

ყველანი არჩევნებზე!

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ახალი გამარჯვებისათვის!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი დღეს აირჩევს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელი მივა საარჩევნო უბანში თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად და ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს— სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ ადამიანებს.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ძალა ის არის, რომ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს თვით ხალხი ირჩევს უაღრესად დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. ხალხის რჩეული ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ხალხის წინაშე.

კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა განაპირობებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფ აღმავლობას, კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მაღალ ტემპს.

დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მოკლე დროში დაძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ აღთქმული სამყაროსაკენ, ააშენა ახალი სოციალისტური საზოგადოება და შეუდგა კომუნიზმის მშენებლობას. პარტიის ისტორიულ XX ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა: „ხატოვანად რომ ვთქვათ, ჩვენ ავედით ისეთ მთაზე, ისეთ მაღლობზე, საიდანაც უკვე თვალნათლივ მოჩანს ფართო ჰორიზონტები საბოლოო მიზნისაკენ— კომუნისტური საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე“.

სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ საბჭოთა კავშირმა დიდი ხანია გაუსწრო ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს. ახლა იგი წარმატებით წყვეტს ამოცანას — დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებული შტატების წარმოების თანამედროვე მოცულობას უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის მხრივ. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მიღწეული სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი გვიჩვენებს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა კავშირი უკან ჩამოიტოვებს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

სსრ კავშირში 1957 წელს გამოშვებულ იქნა 1955 წელთან შედარებით 22 პროცენტით მეტი სამრეწველო პროდუქცია. ფოლადის გამოდნობა გადიდდა 5,8 მილიონი ტონით, ქვანახშირის მოპოვება — 72 მილიონი ტონით, ნავთობის მოპოვება — 27,5 მილიონი ტონით, ელექტროენერგიის წარმოება — 39 მილიარდი კილოვატ-საათით.

დიდი მიღწევებია სოფლის მეურნეობაში. მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის, კარაქის წარმოება. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შედეგად უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას შეემატა 36 მილიონი ჰექტარი სათესი ფართობი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას, ისევე როგორც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციამ შეუწყო ხელი სამრეწველო წარმოების ახალ აღმავლობას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით სულ უფრო მაღლდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საარსებო დონე. ხალხის კეთილდღეობის ზრდის მაჩვენებელია ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით ნაციონალური შემოსავალი საბჭოთა კავშირში 1913 წელთან შედარებით გადიდდა 14-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ამავე პერიოდში იგი გადიდდა 2-ჯერ, ხოლო ინგლისსა და საფრანგეთში—დაახლოებით 1,6-ჯერ.

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას არა აქვთ სხვა ინტერესი, გარდა ხალხის ინტერესებისა. ისინი დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მასების საარსებო დონის მზარდი ამაღლებისათვის. სამუშაო საათების შემცირება უქმისწინა და დასვენებისწინა დღეებში, ხელფასის გადიდება მცირეხელფასიანი მუშა-მოსამსახურეებისათვის, სწავლის ქირის გაუქმება, პენსიების საკითხის მოგვარება, ინვალიდებისა და მოხუცების მატერიალური უზრუნველყოფა, საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლა — ყოველივე ეს მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის ნათელი გამოხატულებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა ჩვენს ხალხს. იმისათვის, რომ დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ, უზრუნველვყოთ ყოველწლიურად 11 მილიარდი ფუთი მარცვლეულის წარმოება, აღმოვფხვრათ საცხოვრებელი ბინების ნაკლებობა და გადავჭრათ სხვა ამოცანები, საჭიროა ხალხის მთელი ძალების მობილიზაცია, მასების დაუღალავი შემოქმედებითი შრომა. არ არის ისეთი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც საბჭოთა ხალხმა ვერ შეძლოს. ამ ამოცანების გადაწყვეტაში დიდ როლს შეასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელსაც საბჭოთა ადამიანები დღეს აირჩევენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი ნათქვამია: „კომუნისტურ პარტიას სრული იმედი აქვს, რომ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ერთსულოვნად იქნებიან არჩეულნი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები. ამით ყველა ამომრჩეველნი — მუშები, გლეხები, საბჭოთა ინტელიგენცია, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები, ჩვენი ახალგაზრდობა — კვლავ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფენ თავიანთ ურღვევ ერთიანობას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულობას“.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამით ისინი ხმას მისცემენ პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, ჩვენი ქვეყნის აყვავებას, მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

საარჩევნო უბნები მატარებლებსა და ვაგზლებში

16 მარტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსშესანიშნავ დღეს, ათასობით ადამიანი იქნება შორი მარშრუტის სამგზავრო მატარებლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესაბამისად, 16 მარტს ყველა შორი მარშრუტის სამგზავრო მატარებელში ეწყობა საარჩევნო უბნები, სადაც ხმას მისცემენ როგორც მგზავრები, ისე მატარებლის ბრიგადები.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილენი, რომლებიც 14 მარტს სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ მოსკოვში, არჩევნების დღეს იქნებიან ტიხორეცკაია-ბელგოროდის უბანზე. ამ შემადგენლობაშიც ეწყობა საარჩევნო უბანი, რომელიც მიმაგრებულია კავშირის საბჭოს არჩევნების როსტოვის — ლენინის № 270 და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 11 საარჩევნო ოლქებზე.

გარდა მატარებლებისა, საარჩევნო უბნები მოეწყობა აგრეთვე მაგისტრალის მთელ რიგ დიდ ვაგზლებში — თბილისის, სოხუმის, ბათუმის, სამტრედიის, ხაშურისა და სხვა ვაგზლებში. (საქტაგი).

სახალხო დღესასწაული

თბილისში, ალბათ, შუაღამე იქნება, როცა სახალინის მშრომელები საარჩევნო ყუთებთან მივლენ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატების სათვის ხმის მისაცემად.

კუნძულ სახალინისა და კურილის კუნძულების მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის ემზადებოდნენ როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის. სახალინელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას ყველა ამომრჩევლისადმი. ამ საპროგრამო დოკუმენტში ისინი ხედავენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვის გამოხატულებას.

აგიტპუნქტებსა და წითელ კუთხეებში, კოხსამკითხველოებში, საწარმოებში და ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილებში აგიტატორები და პროპაგანდისტები მართავდნენ საუბრებს დეპუტატობის კანდიდატთა ცხოვრებასა და შრომითს მოღვაწეობაზე, საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილებზე, კომუნისტებსა და უპარტიოებზე, რომლებმაც თავიანთი თავდადებული შრომით დაამტკიცეს ერთგულება პარტიის დიადი საქმისადმი, კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი, დაიმსახურეს მშრომელთა ღრმა მადლიერება და ნდობა.

წერილი სახალინიდან

მაღალი პოლიტიკური აქტივობით მოეწყო ამომრჩეველთა შეხვედრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებთან.

ვინ არიან ისინი, ხალხის რჩეულნი? ვინ დაასახელეს სახალინელებმა თავიანთ კანდიდატებად? ესენი არიან ჩვენი სამშობლოსადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, რომლებიც სიმართლით ემსახურებიან კომუნიზმის საქმეს. არა სამსახურებრივი ან ქონებრივი მდგომარეობა, არა სოციალური წარმოშობა, არამედ პირადი ნიჭი, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამსახურება იყო თვითეული კანდიდატის ღირსების საზომი.

აი ელისაბედ დიმიტრის ასული პოდპრუგინა, უპარტიო მუშა ქალი, იუჟნო-სახალინსკის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი-მევატომატე. მან პატივი და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა შრომისადმი, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი თავისი დამოკიდებულებით, ადამიანებისადმი გულისხმიერი, მზრუნველი მოპყრობით. ამხ. პოდპრუგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის იუჟნო-სახალინსკის საარჩევნო ოლქში.

ნავთობ სარეწებში შრომითი საგმირო საქმეებით განთქმულია ბურღვის მოწინავე ოსტატი იაკობ ივანეს-ძე ვასილიევი. ბრიგადა, რომელსაც ამხ. ვასილიევი მეთაურობს, დღითიდღე გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, ბეჯითად სრულყოფს მექანიზმების მართვის ოსტატობას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ამხ. ვასილიევი პარტიის საოლქო კომიტეტის წევრია. სახალინელმა კომუნისტებმა იგი დელეგატად გაგზავნეს სკკპ ისტორიულ XX ყრილობაზე. ალექსანდროვსკის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ოსტატ ამხ. ვასილიევის წამოყენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის სკკპ სახალინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პეტრე თევდორეს-ძე ჩეპლაკოვი, ხოლო ეროვნებათა საბჭოში — შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვალენტინ ანტონის-ძე პენკოვსკი.

ამომრჩევლები ღრმა პატივისცემის გრძნობით ლაპარაკობენ თავიანთ კანდიდატებზე. ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ მათი არჩეულნი პირნათლად გაამართლებენ მაღალ ნდობას.

მ. მგელაძე,
სახალინის ოლქის დოლინსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ქართლის გულში

არჩევნების წინა დღეებში კიდევ უფრო მოირთო და გალამაზდა ქალაქი გორი.

დიდი შრომითი აღმავლობაა ფეიქართა დაბაში. გორელი ფეიქრები ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. საქსოვი ფაბრიკის მთელი კოლექტივი, რომელმაც იანვარ-თებერვალში გეგმის გადამეტებით 192 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი მოქსოვა, არჩევნებისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე დგას და მარტში ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით ქსოვს 4-5 ათას მეტრ ქსოვილს.

მარტო მიმდინარე წელს დაბაში საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი ახალი საცხოვრებელი სახლი, საღამოს სანატორიუმი, აბანო-სამრეცხაო.

ფეიქართა კლუბი მუდამ ხალხითაა სავსე. კლუბის გამგეობა ამომრჩეველთათვის ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს.

აქ გულდასმით განიხილავენ დღევანდლობის დიდმნიშვნელოვან საკითხს — პარტიის ახალ ღონისძიებებს.

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, — თქვა აგიტპუნქტის გამგემ მიხეილ ბერძნიშვილმა, — ფეიქრები ბევრ საინტერესო კითხვას იძლევიან. მათ სწამთ, რომ პარტიამ ეს საკითხი დროულად დააყენა.

მძლავრი შრომითი აღმავლობაა გორის საკონსერვო ქარხანაშიც.

ქალაქის ყველა საარჩევნო უბანი მზად არის არჩევნებისათვის.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივში დიდი პატივისცემით სარგებლობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი მქსოველი ნ. ამოსოვა. სურათზე: ნ. ამოსოვა (ცენტრში) გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მქსოველებს ს. გაბრიელიანსა და ნ. ენიკეევას.

რეპორტაჟი: დღეს ლენინის რაიონში...

ლენინის სახელს ატარებს თბილისის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო რაიონი — ამჟამად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 147 საარჩევნო ოლქის ცენტრი. მისი ტერიტორია შედის აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 654 საარჩევნო ოლქში.

მიდიხართ რაიონის ფართო, ლამაზ ქუჩებში, შეჰყურებთ მაღლა აზიდულ მრავალსართულიან შენობებს, და უნებლიედ გაგონდებათ ძველი ნაძალადევი, თავისი ვიწრო, ტალახიანი ქუჩებით, ამ უბნის პირველი მცხოვრებნი ამიერკავკასიის რკინიგზის ყოფილი სახელოსნოების მუშები იყვნენ. რა კონტრასტია ძველს და ახალს შორის!

...დიდი ოქტომბრის მზის შუქმა რაიონს სახე უცვალა. ქოხმახები მრავალსართულიანმა კეთილმოწყობილმა სახლებმა შეცვალა. ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებულმა ფართო მოასფალტებულმა ქუჩებმა დაამშვენა განახლებული რაიონი. მის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა ათობით ახალი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო საწარმოებად გადაიქცნენ. ღრმაღელე, რომელიც წინათ ხრიოკ ადგილს წარმოადგენდა, ახლა მჭიდროდ დასახლებული უბანია.

აი რესპუბლიკის მრეწველობის სიამაყე — თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა, რომლის საამქროებში არცთუ ისე დიდი ხანია, რაც დაიბადა ჩვენი რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის პირმშო — პირველი ქართული სამაგისტრალო ელექტრომავალი. ახლა თბილისური მარკის მძლავრი რვაღერძიანი ელმავლები უკვე დაქრიან ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალებზე.

გრანდიოზული მასშტაბით გაჩაღდა რაიონის ტერიტორიაზე საბინაო მშენებლობა. ასობით მშრომელთა ოჯახმა მიიღო ახალი კეთილმოწყობილი ბინები. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა 12 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

სასიხარულო მიღწევებია მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში. უკანასკნელ წლებში მათ მიიღეს ორი პოლიკლინიკა, ორდარბაზიანი კინოთეატრი „საქართველო“, ორი საშუალო სკოლა, ორი კეთილმოწყობილი აბანო, პიონერთა სახლი, ბიბლიოთეკა და სხვ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს სადღესასწაულოდ გამოიყურება რაიონი. მშრომელებში დიდი გამოცოცხლებაა. ლამაზად მორთულ საარჩევნო უბნებში, აგიტპუნქტებში ხალხის ნაკადი არ კლებულობს. ყველგან — ქუჩებში, საწარმოებში, დაწესებულებებში საზეიმო განწყობილებაა, სასიხარულო მოლოდინი ახალისებს ყველას. უჩვეულო აღფრთოვანებას იწვევს ყველაში დღევანდელი დღე. რაიონის მშრომელები ახალი გამარჯვებებით ხვდებიან არჩევნების დღეს. მრავალმა მუშამ, წარმოების ნოვატორმა ამ დღისათვის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე, დიდი გადაჭარბებით გაანაღდა. მჭედელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი კ. ილურიძე, მრანდავი ბ. ჩიტაიშვილი, მეყალიბე ვ. კურტანიძე, ზეინკალი პ. მუხიგულაშვილი, — და ვინ მოთვლის კიდევ მათს სახელებს, ვისაც ახალი საწარმოო გამარჯვებებით უპატაკებენ დედა-სამშობლოს.

№ 32 საარჩევნო უბანი. მისი ცენტრი მოთავსებულია პლეხანოვის სახელობის კლუბის შენობაში.

აგიტპუნქტის ხშირი სტუმარია სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ყოფილი მუშა, ახლა პერსონალური პენსიონერი ზ. ტიგიტაშვილი, იგი მრავალ საინტერესო ამბავს უყვება ახალგაზრდა ამომრჩევლებს თავისი საწარმოს ისტორიიდან. იგონებს წარსულის მძიმე დღეებს. დღეს ბედნიერი მოხუცი მოზღვავებულ სიხარულს ვეღარ მალავს. ამ საარჩევნო უბანში კენჭს იყრიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მჟავანაძე და სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე ხარატი ა. მარგველაშვილი. ამომრჩევლები სიხარულით მისცემენ ხმას დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატებს.

ვ. ქვრივიშვილი.

სამშობლოსათვის, კომუნისტური პარტიისათვის!



თბილისი ზეიმობს

წლის ყოველ დროს ლამაზია თბილისი, მაგრამ დღეს უფრო მიმზიდველად გამოიყურება იგი.

ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანი დედაქალაქი საზეიმოდ მორთულია.

დღეს არჩევნებია!.. ბედნიერი საბჭოთა ხალხი სოციალისტური სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში ხმას აძლევს თავის რჩეულ შვილებს, ჩვენს ბედნიერ აწმყოს, უკეთეს მომავალს, მშვიდობას!

სიხარულს მოუცავს თბილისი. ქუჩებს, მოედნებს, საწარმო-დაწესებულებებს საზეიმო იერი მიუღიათ. ყველაფერი მოგვაგონებს არჩევნებს!

საზეიმო ილუმინაციას დღესავით გაუჩირაღდნებია დედაქალაქის ქუჩები, მოედნები, შენობათა ფასადები, ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტრამვაის ვაგონები.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დედაქალაქის ათასობით ადამიანი საარჩევნო უბნებში მოდის ახალი გამარჯვებებით, რომლებიც მათ მოიპოვეს ქარხნის ხმაურიან საამქროებში, წყნარ მეცნიერულ ლაბორატორიებში, კონსტრუქტორთა კაბინეტებში, და ყველგან, სადაც ჩქეფს საბჭოთა ხალხის ცხოვრება.

ბევრი სიახლით, ქუჩებისა და ხარაჩოების სიმრავლით, საწარმოო და საცხოვრებელი კორპუსებით, მოედნებითა და პარკებით, მშვიდობიანი მშენებლობის სიხარულით შეხვდა დედაქალაქი 16 მარტს.

ბევრი ეს სიახლე არ იყო ოთხი წლის წინათ. არ იყო მაშინ ულამაზესი ვარაზისხევი, ვაკის შადრევნებიანი პარკი, განახლებული ლენინის მოედანი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 26 კომისრისა და ლენინის რაიონების, საბურთალოს განახლებული უბნები, ასობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

ბევრი სიახლით, სილამაზით, ზღვა სიხარულით ხვდება დედაქალაქი არჩევნების დღეს!

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლები საბურთალოზე.

ასე იზრდებიან ადამიანები

ამას წინათ საღამოს შვიდ საათზე თბილისის საორთქლმავლო დეპოს აწევითი შეკეთების საამქროში „ავადმყოფი" ორთქლმავალი ჩამოაყენეს. მისი დაზიანებული ორთქლგამტარი მილები სასწრაფო შეკეთებას მოითხოვდა. რამდენიმე წუთის შემდეგ საამქროში ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა.

სწორედ ამ დროს დეპოს უფროსი სერგი ოდილავაძეც მოვიდა.

— აი ვკითხოთ მას, — თქვა ერთმა ახოვანმა ზეინკალმა.

ამხ. ოდილავაძემ მოკამათეებს მოუსმინა, შეამოწმა ორთქლგამტარი მილების მდგომარეობა და შემდეგ მიუთითა, თუ რა გზით და როგორ შეეკეთებინათ სწრაფად და კარგად ისინი. დეპოს უფროსი ლაპარაკობდა საქმის ისეთი ღრმა ცოდნით, რომ დამსწრენი ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ.

— საიდან იცის ასე კარგად მან ეს საქმე?, — იკითხა ერთმა ახალგაზრდა მუშამ, როდესაც ოდილავაძე მოსცილდა მათ.

— საიდან? თვითონ ყოფილი ზეინკალია! ორთქლმავლის ასეთი მილები ალბათ ასობით შეუკეთებია! — უპასუხა მის გვერდით მდგომმა.

ჭაბუკს ეს ამბავი ცოტა არ იყოს გაუკვირდა.

— რაო, მეგობარო, რამ გაგაოცა, — უთხრა მას ნოვატორმა ზეინკალმა ბ. ხმიადაშვილმა, — ჩვენს ქარხნებსა და ფაბრიკებში, საწარმოებში რიგითი მუშების წრიდან მრავალი დავაჟკაცდა, გაიზარდა, ისინი ქარხნების დირექტორები, დეპოების უფროსები არიან...

პასუხის შემდეგ თვითონვე დაუმატა:

— სოციალისტური საწარმო ახალი ადამიანების აღზრდის, გამოწრთობის შესანიშნავი სკოლაა!

* * *

წარსულს ჩაბარდა ძველი დრო, როცა მუშა-კაცი უუფლებო, ბეჩავი იყო. დიდმა ოქტომბერმა სიხარული და ბედნიერება დაუმკვიდრა საბჭოთა ადამიანს, ფართო შემოქმედებითი შრომის ჰორიზონტი გადაუშალა მას...

აი თუნდაც სერგი ოდილავაძე ავიღოთ. როდესაც ის ხაშურის საორთქლმავლო დეპოში მივიდა, წერა-კითხვის მცირემცოდნე იყო. მაგრამ ჭაბუკმა მონდომებით, უდიდესი სიყვარულით მოჰკიდა საქმეს ხელი და მალე დაეუფლა ზეინკლის პროფესიას.

მიღწეულით როდი დაკმაყოფილდა, შრომასთან ერთად ბეჯით სწავლას განაგრძობდა.

მეგობრები უდიდესი კმაყოფილებით შეეგებნენ საწარმოში დაბრუნებულ ყოფილ ზეინკალს, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კურსდამთავრებულს ს. ოდილავაძეს.

დღეს იგი თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხელმძღვანელობს.

— რესპუბლიკის უძველესი საწარმო, — განაცხადა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშამ დ. ამირანაშვილმა, — ახალი საბჭოთა ადამიანების გამოწრთობის კარგი სკოლაა!

სახელოვანი შრომისა და სწავლის გზა განვლო აღნიშნული ქარხნის უფროსმა გაბრიელ მაცაბერიძემ. ჯერ რიგითი ზეინკალი იყო, მერე მემანქანედ მუშაობდა, შემდეგ კი ბეჯითი სწავლით ინჟინერი გახდა. მან წარმატებით დაასრულა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი, მოსკოვის სატრანსპორტო აკადემია...

მრავალი ტურისტი ჩამოდის თბილისში. ერთ დღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს საზღვარგარეთელი სტუმრები ეწვივნენ. ისინი დიდი ყურადღებით ათვალიერებდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის კეთილმოწყობილ, ლამაზ უბნებს, ღირსშესანიშნავ ადგილებს...

სტუმრებმა საუბრის დასასრულს იკითხეს, თუ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რას აკეთებდა, სად მუშაობდა წინათ.

— ალექსანდრე მელაძის მამა, — თქვა ერთმა თანამშრომელმა, — ზეინკალი იყო. თვითონაც ამ პროფესიის დაუფლებით დაიწყო მოღვაწეობა!

ყოფილი ზეინკალი, დღეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მელაძე, ამომრჩევლებმა დიდად დააფასეს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

ქარხანა უდიდესი სკოლაა. პატიოსანი შრომა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, კომუნიზმისათვის თავდადებული ბრძოლა აკაჟებს, აწრთობს, ზრდის ახალ, საბჭოთა ადამიანს!

ა. გოცირიძე.

ოთხ წელიწადში...

✪ მწყობრში ჩადგა თბილისის სპეციალური ინსტრუმენტების, ელექტროშემკეთებელი, რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნები, ელექტროგამშვები, ელექტროავტომატი, რუსთავის ცემენტის, აზოტოვანი სასუქების, მექანიკური ქარხნები, ჩაის პირველადი გადამუშავების 17 ფაბრიკა, ღვინის 18 ქარხანა, თბილისის კონიაკის ქარხანა.

✪ თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი და ბათუმის გემშემკეთებელი ქარხნები გადაკეთდნენ ელექტრომავალმშენებელ და გემშენებელ საწარმოებად; 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანაში შეუდგნენ მსოფლიოში პირველი ჩაისსაკრეფი მანქანების და უნივერსალური თვითმავალი შასის გამოშვებას; თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ 4 წლის მანძილზე 38 სხვადასხვა ტიპის ჩარხის წარმოება აითვისა.

✪ 1954 წელს ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ამუშავდა პირველი ბრძმედი. თუჯის გამოდნობა გაიზარდა 546,8 პროცენტით, ფოლადისა — 613,6 პროცენტით.

ინტერნაციონალური ქალაქი

„ბედნიერება ჰაერივითაა — როცა სუნთქავ, ვერ ამჩნევ". — არ შეიძლება კაცს არ გაახსენდეს ერთი თანამედროვე ქართველი მწერლის მიერ ლამაზად ნათქვამი ეს სიტყვები ახლა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. მართლაც და, თუ ჩავუფიქრდებით, ბევრ რამეს ხომ ისე ვართ მიჩვეული, თითქოს ეს ყოველთვის ასე ყოფილა. სწორედ ასე მივეჩვიეთ ჩვენს ბედნიერ საბჭოთა ცხოვრებას. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, თუ რა სისხლის ფასად არის მოპოვებული და დაწერილი ჩვენი საბჭოთა კონსტიტუციის თვითეული მუხლი. მათ შორის კი განსაკუთრებით ის ადგილია ხაზგასასმელი, სადაც ლაპარაკია სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე.

სწორედ ამითაც განსხვავდება ჩვენი კონსტიტუცია ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებისაგან. საბჭოთა კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიულია მთელ მსოფლიოში, სრულ თავისუფლებას ანიჭებს თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი. ამის საილუსტრაციოდ მრავალი თვალსაჩინო მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ საკმარისია გავიხსენოთ სულ ათიოდე წლის ისტორიის მქონე, ჩვენი სიამაყე, მეტალურგთა ქალაქი რუსთავი. იქ ამჟამად ორმოციოდე სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს და იღვწის. ისინი მზამზარეულ ბინებში კი არ მისულან, არამედ მოტიტვლებულ ტრამალზე თავიანთი ხელით ააგეს ქალაქი. რომელსაც თანდათან ზრდიან და ალამაზებენ. იქ ყველასათვის ყველაფერი თანაბრად საყვარელი და ხელმისაწვდომია.

რუსთავში არც ერთი ეროვნების წარმომადგენელი თავს უცხოდ არა გრძნობს. იქ ისეთი ატმოსფეროა შექმნილი, რომ ისინიც კი, ვინც ამ ბოლო დროს მოდიან სამუშაოდ, თავს ისე გრძნობენ, თითქოს იქ დაბადებულიყვნენ, და წასვლა აღარსად უნდათ.

აბა მოვუსმინოთ რუს ნიკოლოზ პიხოვს. მას თავიდან არ მიუღია ქალაქის მშენებლობაში მონაწილეობა. იგი მხოლოდ 1955 წელს ჩამოსულა რუსთავში სამუშაოდ ლისიჩანსკის ქიმიური კომბინატიდან.

— როდესაც გავიგე, რომ ჩვენი ადმინისტრაცია რუსთავში სამუშაოდ ნებაყოფლობით წამსვლელებს ეძებდა, პირველმა მე განვაცხადე აქ წამოსვლის თანხმობა. ახლა ამ ქალაქის მკვიდრი მცხოვრები ვარ. ძალიან მომწონს და მიყვარს ჩვენი რუსთავი...

რუს ნიკოლოზ პიხოვს ყველა ეროვნების კაცი უყვარს, მაგრამ განსაკუთრებული, გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება აქვს საბჭოთა კავშირის გმირ ქართველ გრიგოლ ბუაჩიძესთან და სომეხ არამ დალაქიანთან.

ასევე რუსთავის მკვიდრად გრძნობს თავს და ამ ახალგაზრდა ქალაქის ნამდვილი პატრიოტი გამხდარა კიროვაბადიდან 1955 წელს ჩამოსული ლითონის შემდუღებელი სომეხი შაგინ აბგარიანცი.

შ. აბგარიანცსაც ჰყავს თავისი განუყრელი მეგობრები და, როგორც იტყვიან ხოლმე, უერთმანეთოდ პურსაც არ გატეხენ. ესენი არიან მეზობლად მცხოვრები ნოდარ შათირიშვილი, მასთან მომუშავე ზეინკლები ვლადიმერ ყოჩიშვილი და ვალოდია ავეტისიანი. ამათ გარდა, მეტალურგთა ქალაქ რუსთავში ასევე მეგობრულად ცხოვრობენ და შემოქმედებით შრომას ეწევიან ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის მრავალი ეროვნების ადამიანები — უკრაინელები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, ტაჯიკები, უზბეკები, ბაშკირები, აისორები, მოლდაველები, ლეკები, მორდოველები, ლატვიელები და სხვ.

რუსთავი ხალხთა შორის მეგობრობამ ააგო. რომელ ცალკეულ ერს შეეძლო სხვის დაუხმარებლად ასე მოკლე ხანში მძიმე ინდუსტრიის უზარმაზარი გიგანტის — მეტალურგიული ქარხნის აგება? ამაზე პასუხი მხოლოდ ერთია — არავის.

რუსთავში ხშირად ჩამოდიან ახალგაზრდა სპეციალისტები გამოცდილების მისაღებად როგორც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, ისე საზღვარგარეთიდან. მაგალითად, ამას წინათ აქ იყვნენ შორეული ინდოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომლებიც ეუფლებოდნენ ფოლადის გამოდნობის საიდუმლოებას და ეცნობოდნენ ზღაპრულად მცირე დროში აგებულ და მრავალი ეროვნების ადამიანებით დასახლებულ ქალაქს.

გაივლის კაცი ამ ინტერნაციონალურ ქალაქში და უსათუოდ იმ დასკვნამდე მივა, რომ აქ, ამ მკვდრეთით აღმდგარ რუსთავის მიწაზე შესანიშნავად არის განხორციელებული ჩვენი წინაპრების სისხლით მოპოვებული, დიად ქარტიაში ჩაწერილი ხალხთა უფლებები.

ს. იორამაშვილი.

რუსთავი. კომკავშირის ქუჩის ხედი.
ფოტო რ. მორჩილაძისა.

ახალი წონიარისი

ძნელია ჩვენი სოფლის რევოლუციამდელი სურათის წარმოდგენა, მშრომელთა მაშინდელი დუხჭირი და ბნელი ცხოვრების გახსენებაც კი. ნახევრად მშიერი, ძონძებში გახვეული, წერა-კითხვის უცოდინარი წონიარისელი გლეხი სოფლიდან შორს გარბოდა ლუკმაპურის საძებნელად. ქალებ კი ჩადრებში იყვნენ გახვეული და მოწყვეტილი იყვნენ ცხოვრებას.

სულ სხვაა ახლა თანამედროვე წონიარისი თავისი კეთილმოწყობილი ცენტრით, კოლმეურნეთა ქართული სტილით ნაგები კაპიტალური სახლებით, საკუთარი ინტელიგენციით, სკოლებითა და ბიბლიოთეკებით, კლუბითა და მეცხოველეობის ფერმით, მაღალშემოსავლიანი ვენახებითა და თამბაქოს პლანტაციებით...

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღდგა თურქ დამპყრობთა ბატონობის ავადმოსაგონარ დროს გადაშენებული ვაზის კულტურა. ახლა კოლმეურნეობა სარგებლობს სხვადასხვა ტევადობის 13 ცალი ქვევრით, რომლებიც სოფელში ვენახის დასარგავად ნიადაგის ღრმად დამუშავებისას ამოაჩინეს. მათგან უდიდესია 1,1 ტონის ტევადობისა. სულ კი ეს ქვევრები 9 ტონამდე ღვინოს იტევს. ახლა აჭარის გარეთაც კარგად არის ცნობილი ვარჯანისის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი სოფლის ღვინო. გასულ წელს, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, საშუალოდ ერთ ჰექტარზე 55 ცენტნერზე მეტი ყურძენი მივიღეთ. ჩვენ ახლა გვყავს მოწინავე მევენახეები, როგორიც არიან ხანში შესული ქალი გულხანუმ პაპუნიძე, ი. ბერიძე, ბრიგადირი ორდენოსანი შ. ბოლქვაძე და სხვ. ახლა ვენახიდან წონიარისელი კოლმეურნეები ყოველწლიურად 300-350 ათას მანეთ ფულად შემოსავალს იღებენ. ამჟამად წონიარისელი კოლმეურნეები ვენახს აშენებენ საკარმიდამო ნაკვეთზე. 12 ოჯახმა უკვე გაიჩინა ცოლიკაურის ვენახი. ბევრმა მოსავალიც კი მიიღო.

სოფელი განთქმულია თამბაქოს უხვი მოსავლითაც. შარშან სახელმწიფოს ჩაბარდა 25,6 ტონა ხმელი თამბაქო ნაცვლად 25 ტონისა.

შარშან კოლმეურნეობის მიერ თამბაქოთი მიღებულმა შემოსავალმა 350 ათას მანეთს მიაღწია. კოლმეურნეებს სიმინდიც კარგად მოჰყავთ. მაგალითად, ყ. კვირიკაძემ საშუალოდ 1 ჰექტარზე 25 ცენტნერზე მეტი სიმინდი მოიყვანა.

კოლმეურნეობაში აღიზარდნენ საუკეთესო მეცხოველეებიც. წველადობის წლიური გეგმა გადაჭარბებით. საშუალოდ თვითეულ საფურავე ძროხაზე მიღებულია 741 კილოგრამი რძე, ხოლო მოწინავე მწველავმა ხატიჯე ბოლქვაძემ 23 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 1.023 კილოგრამი რძე, რაც 323 კილოგრამით სჭარბობს წლიურ გეგმას.

პირუტყვისათვის შექმნილია მტკიცე საკვები ბაზა. აგებულია კეთილმოწყობილი ბინები. ფერმა ნახევრად მექანიზებულია.

...შენდება და მშვენდება მთიანი სოფელი წონიარისი. მარტო უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სოფელში აგებული 17 ახალი სახლი. მათ შორის ბევრი ორსართულიანი და კაპიტალურია.

განუხრელად მაღლდება სოფლის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე. თუ რევოლუციამდე რაიონში არც ერთი სკოლა არ იყო, 2 წლის წინათ აქ საშუალო სკოლაც გახსნეს. მუშაობს კლუბი, ბიბლიოთეკა, ზოოვეტუბანი. ახლა ეს მთიანი სოფელი დაფარულია სამანქანო გზებით, აგებულია ახალი ხიდები და ბოგირები.

ბევრია ადგილობრივი მკვიდრი ინტელიგენტი, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს და მშობლიურ სოფელს მოაშურეს. მათ რიცხვში არიან მასწავლებლები მიხეილ ბარამიძე, ზურაბ ბერიძე, გიორგი ბოლქვაძე, დავით ბერიძე და სხვ.

ბევრი წონიარისელი ახალგაზრდა ამჟამად სწავლობს საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. წონიარისელი კოლმეურნეები ახალი გამარჯვებებით ხვდებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

ჯ. ბერიძე,
ქედის რაიონის სოფელ წონიარისის მაო ძე-დუნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ეს დღეები სვანეთში

⊙

საუბარი პარტიის მესტიის რაიკომის მეორე მდივანთან ამხ. ალ. მერლანთან

⊙

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა მაღალმთიან, თოვლიან მესტიის რაიონს. პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ალექსანდრე მერლანმა საუბარში განაცხადა:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ყველგან დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. რაიონის მშრომელები თავდადებით შრომობენ 1958 წლის დავალებების სასახელოდ შესრულებისათვის. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა 39 აგიტპუნქტი. საარჩევნო კამპანიის დღეებში დამატებით გამოყოფილ იქნა 100-ზე მეტი აგიტატორი.

მესტიიდან 40 კილომეტრით დაშორებულ მაღალმთიან სოფელ კალის საარჩევნო უბანში კარგად მუშაობს აგიტპუნქტი, რომლის გამგეა ვლ. მარგველანი. სოფლის მშრომელთა შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს აგიტატორი მ. ხარძიანი. იგი თავის საუბრებს უნარიანად აკავშირებს კალელ მშრომელთა წარმატებებთან. მართლაც ბევრი რამ აქვთ კალელებს საამაყო. შარშან მეცხოველეებმა საშუალოდ ერთ საფურავე ძროხაზე 1.106 ლიტრი რძე მიიღეს, გეგმა კი 1.030 ლიტრს ითვალისწინებდა. კოლმეურნეობამ პირუტყვის სულადობის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ასევე გადამეტებით შესრულდა კარტოფილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობის გეგმები. სოფელს საკუთარი ჰიდროელექტროსადგური აქვს. შარშან დამთავრდა ორსართულიანი საკოლმეურნეო კანტორის მშენებლობა, აგებულია კლუბის შენობა, რომელიც 300 კაცს დაიტევს, და სხვ.

სოფელ ბეჩოს მოსახლეობაში შინაარსიან საუბრებს მართავენ საშუალო სკოლის მასწავლებლები ანიტა და თეიმურაზ კვიციანები. ისინი ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის მუშაკებს ესაუბრნენ ყველა ამომრჩევლისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაზე, პარტიის ახალ დადგენილებაზე „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ".

საზეიმო იერი აქვს მესტიის რაიონს. რაიონის საწარმო-დაწესებულებებს ამშვენებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, წითელ არშიაზე წარწერილი საარჩევნო ლოზუნგები. რაიონის მშრომელები ახალი მიღწევებით ხვდებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. შარშან რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა პირუტყვის სულადობისა და წველადობის გეგმები. წელს იანვარში ამ მხრივ უკეთესი შედეგებია. გასული წლის იანვართან შედარებით 13 ათასი ლიტრით გადიდდა წველადობა.

ბევრი რამ აქვთ საამაყო ჩვენს მეცხოველეებს. შარშან წველადობის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს ადიშის, ცხუმარის, ნაკის, ჟულახის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა. საუკეთესო წარმატებები აქვთ მწველავებსაც. სოფელ მესტიის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა კომკავშირელმა ი. მარგიანმა, რომელსაც მოსავლელად მიჩენილი ჰყავს 10 ძროხა, შარშან თვითეულზე 2.434 ლიტრი რძე მიიღო, ხოლო ამავე კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. რატიანმა თვითეულ ძროხაზე მიიღო 1.260 ლიტრი რძე ნაცვლად 1.000 ლიტრისა.

სასახელო მაჩვენებლები აქვს ენგურის სატყეო მრეწველობას (დირექტორი გ. ხუფენია). შარშან მან სამასალე მერქნის დამზადების გეგმა 122,7 პროცენტით შეასრულა, მოზიდვისა — 144,8, გამოზიდვისა — 125,2 პროცენტით, წელს კი — 120 ათასი კუბური მეტრი სამასალე მერქნი უნდა ჩააბაროს ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატს.

საბჭოთა ადამიანებისადმი მშობლიური კომუნისტური პარტიის მზრუნველობასა და ყურადღებას მესტიის რაიონის მშრომელები უპასუხებენ ახალი წარმატებებით თავიანთი მუშაობის ყველა უბანზე.

ახალგაზრდა ამომრჩეველთა სიტყვა

ჩემი სიხარული

გული სიხარულს ვერ იტევს, რადგან ჩემი ცხოვრების გაზაფხული — 18 წლის შესრულება დაემთხვა ჩვენი ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის ზეიმს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

— და მეც ჩემი პატარა სიტყვით მსურს გამოვხატო ასობით ჩემისთანა ახალგაზრდის ბედნიერება, რომლებიც წელს პირველად აძლევენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ჩვენ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი ადამიანები, ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდები ვართ. იქ კი, კაპიტალის ქვეყნებში, სადაც ადამიანის ღირსება დოლარებითა და სტერლინგებით იზომება, არა თუ ახალგაზრდები, არამედ მილიონობით მამაკაცები და ქალები სხვადასხვა მაქინაციებითა და შეზღუდვებით მოკლებული არიან ხმის უფლებას. და ახლა, როდესაც გავხდი სრულუფლებიანი საბჭოთა მოქალაქე, როცა მომეცა უფლება პრაქტიკულად განვახორციელო საბჭოთა კონსტიტუციით მონიჭებული დიადი უფლება, მე ვაცხადებ: სიხარულით, აღფრთოვანებით მივცემ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს პაველ ვასილის-ძე კოვანოვს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ფატუშა დავითის ასულ დუმბაძეს და ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის სახელმოხვეჭილ ზეინკალს მიხეილ სამსონის-ძე დუნდუას.

ხმას მივცემ რა ხალხის კანდიდატებს, ამით ხმას მივცემ მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, საბჭოთა ადამიანების შესანიშნავ აწმყოსა და კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალს, საბჭოთა ახალგაზრდობის ბედნიერებას. ამით ხმას მივცემ მშვიდობას და ხალხთა შორის ურღვევ მეგობრობას.

დოდო დოლბაია,
ქ. ბათუმის № 2 საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე.

ამიხდა ოცნება

დიდი ხანია ველოდი იმ ბედნიერ დღეს, როდესაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის — ხალხთა ამ დიადი ქარტიის საფუძველზე ჩემი ასაკი შესაძლებლობას მომცემდა ჩემს ცხოვრებაში პირველად ქვეყნისა და ხალხის წინაშე მომეხადა მოქალაქეობრივი ვალი: მონაწილეობა მიმეღო სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში.

ამიხდა ოცნება. დღეს პირველად მივალ საარჩევნო ყუთთან და სიხარულით მივცემ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილებს, რომლებმაც საქმით დაუმტკიცეს ხალხს თავიანთი ერთგულება, მზადყოფნა მშობლიური პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა შესასრულებლად.

დღეს ჩემთან ერთად საარჩევნო უბნებში მივა დიადი საბჭოთა ქვეყნის მრავალი ახალგაზრდა ამომრჩეველი, ისინი ერთსულოვნად მისცემენ ხმას სამშობლოს ღირსეულ შვილებს, მგზნებარე პატრიოტებს.

კ. ქობალია,
გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის 1-ლი საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.

თბილისის კიროვის რაიონის № 41/43 საარჩევნო უბნის აგიტატორი მ. ხომერიკი ესაუბრება ახალგაზრდა ამომრჩევლებს, რომლებიც წელს პირველად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.
ფოტო გ. გოგოხიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის!

განახლებული კოლხეთი

თვალს ხიბლავს, გულს ახარებს განახლებული ქალაქის მიმზიდველი პანორამა. ლარივით გადაჭიმული ქუჩები ყველა კუთხიდან ქალაქის ცენტრში — ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანთან იყრიან თავს. ამ მოედანზე დგას სახელმწიფო დრამატული თეატრის მონუმენტური შენობა, ორ და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი შენობები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფოთში ერთი ხეირიანი საწარმოც არ იყო. ახლა აქ 30-ზე მეტი საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოა. ახლა კოლხიდელები უშვებენ: მიწისმწოვ მანქანებს, ავეჯს, აგურს, ხე-ტყეს, პურ-ფუნთუშეულს, თევზეულს, ნაყინს, ლუდს, ლიმონათს, პურის ფქვილს, საოჯახო ნაკეთობებს და სხვ. ყველა ამ პროდუქციის გამომშვები საწარმოები საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა.

ფოთისა და კოლხიდის მიდამოების დაჭაობებული ადგილების დაშრობისა და მათი საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის ენერგიულად შრომობს კოლხიდმშენის კოლექტივი (უფროსი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. კიკნაძე), რომელიც უკვე წელიწადნახევარია ფლობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

წარსულს ჩაბარდა კოლხიდელთა დაუძინებელი მტერი — მალარია, დაჭაობებული ადგილების დაშრობასთან ერთად უდიდესი სამუშაოები ჩატარდა ქალაქის როგორც ცენტრის, ისე გარეუბნების გამწვანებისათვის. ამჟამად ქალაქის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 45 სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება 120-ზე მეტი ექიმითა და 200 ექთანით და ფარმაცევტით. ფოთში არის 4 საავადმყოფო, 3 პოლიკლინიკა, ტუბდისპანსერი, ვენდისპანსერი, სანეპიდსადგურები, 4 აფთიაქი, 5 საექიმო უბანი და სხვ.

ქალაქი დაფარულია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებით. აქ 20 წელზე მეტია მუშაობს სახელმწიფო დრამატული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურის სახლი, კულტურისა და დასვენების პარკი, საზაფხულო და საზამთრო კინოთეატრები, მუშათა კლუბები, საქალაქო, საუბნო და სასოფლო კლუბ-სამკითხველოები.

ქალაქის სიამაყეს უწოდებენ ფოთის მშრომელები ნავსადგურს, რომელიც სამართლიანად ითვლება ამიერკავკასიის საზღვაო კარად.

ოთხი წლის განმავლობაში, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან დღემდე გავიდა, ბევრი რამ გაკეთდა ნავსადგურში. ტვირთბრუნვის ზრდასთან ერთად გაიზარდა მექანიზაცია, დაინერგა ახალი ტექნიკა, პორტალურ ამწეთა რიცხვი გადიდდა ორჯერ, ხოლო მცირე მექანიზაციის პარკი — 10,5-ჯერ. აქ ფართოდ არის გაჩაღებული საცხოვრებელი სახლების, ახალი საამქროების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 7 საცხოვრებელი სახლი 2.072 კვადრატული მეტრი ფართობით. ამჟამად შენდება 3 და დამთავრების პროცესშია 2 საცხოვრებელი სახლი. ნავსადგურის მთელი კოლექტივი განუხრელად მიდის წინ ახალი შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან განვლილ 4 წელიწადში კოლხიდმშენმა ბინათმშენებლობაზე დახარჯა 4.102 ათასი მანეთი.

ოთხი წლის მანძილზე ქალაქში ჯორჯაძის ქუჩაზე აშენდა ორი 24-ბინიანი, ლენინის ქუჩაზე ერთი 40-ბინიანი სახლები. მიმდინარე წელს ფოთელები მიიღებენ 12-ბინიან საცხოვრებელ სახლს ცხაკაიას ქუჩაზე, 8-ბინიან სახლს პარკის უბანში. ჩქარი ტემპით შენდება 8-ბინიანი სახლი 402 კვადრატული მეტრი ფართობით. დამთავრების პროცესშია ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელი. მის მშენებლობაზე დაიხარჯა 2.780 ათასი მანეთი.

დიდი ღონისძიებები განხორციელდა კულტურულ და სამედიცინო დაწესებულებათა გასაფართოებლად. ორი წლის წინათ ფოთელებმა მიიღეს 50-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო. კოლხიდმშენმა კურორტ მენჯში ააგო დასასვენებელი სახლი. გასულ წელს ნინოშვილის უბანში დაიწყო სკოლის მშენებლობა. იგი გათვალისწინებულია 440 მოსწავლისათვის. მის მშენებლობაზე დაიხარჯება 1.738 ათასი მანეთი. 1 მაისისათვის დამთავრდება 500-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრის აგება.

განახლებული ზღვისპირა ქალაქი ფოთი ახალი გამარჯვებებით ეგებება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს. ფოთის მშრომელები ერთსულოვანი დარაზმულობით მივლენ საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეულ კანდიდატებს.

ქ. კომახიძე,
გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის" რედაქტორის მოადგილე.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



ფ ო თ ი. ახალი სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე.
ფოტო ა. გვაძაბიასი.

გ მ ი რ ი ს ო ჯ ა ხ ი

ვისაც ამ რამდენიმე წლის წინათ სოფელი ცხემლისხიდი უნახავს, დღეს ვეღარ იცნობს მას. სოფლის ცენტრს ამშვენებს კოლმეურნეობის კანტორის შესანიშნავი შენობა, სადაც მოთავსებულია სოფლის სხვადასხვა დაწესებულებანი.

იყო დრო, როცა ცხემლისხიდი, ერთ-ერთი უბადრუკი სოფელი იყო მახარაძის რაიონში. სულ სხვა არის ამჟამად.

ბედნიერად ცხოვრობენ სოფლის მშრომელები. მათ აქვთ საშუალო სკოლა, საექიმო უბანი, სოფლის კოოპერატივი, ფოსტა. სოფელი რადიოფიცირებულია, აქვთ ელექტროგანათება.

თავდადებული შრომით სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მოიპოვა კოლმეურნე ზინა ცხომელიძემ. შეძლებულად ცხოვრობს დღეს მისი ოჯახი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან ჩაის პლანტაციაში დაიწყო მუშაობა, თვალისჩინივით უვლიდა თვითეულ ბუჩქს...

თავის შრომითს მაჩვენებლებზე ზინა ასე გვიამბობს:

— 1949 წელს ჩემთვის მომაგრებული 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მივიღე 6.192 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ამ მაჩვენებლის მიხედვით მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ამ საპატიო წოდების მიღებამ ერთიორად გაზარდა ჩემი ენერგია და ყოველ წლობით ვადიდებდი ჩაის მოსავალს. 1957 წელს მივიღე 10.958 კილოგრამი ფოთოლი. წელს მოვკრეფ 11.000 კილოგრამ ფოთოლს.

— ზინა ცხომელიძე ჩვენი კოლმეურნეობის სიამაყეა, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გამოცდილი აგრონომი შ. ჭანუყვაძე, — მისი მუშაობის მაგალითზე მრავალი წარჩინებული მეჩაიე აღიზარდა ჩვენს სოფელში. ბეჯითი, მუყაითი, შრომისმოყვარე ახალგაზრდა სოფელში საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს. 1957 წელს მან 1.000-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა, ფულად 52.000 მანეთზე მეტი, ნატურით კი რამდენიმე ტონა მარცვლეული მიიღო, მარტო პრემიის სახით კოლმეურნეობიდან 28.000 მანეთი ერგო.

ამ ბედნიერ ოჯახს მეთაურობს ღვაწლმოსილი პედაგოგი ლენინის ორდენოსანი თომა ცხომელიძე, რომელიც ამ სოფლის საშუალო სკოლაში 20 წელზე მეტია პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. ზინას დედა ელენე კოლმეურნეობის აქტიური წევრია, ამ ოჯახის შვილები ეთერი და თალიკო უმაღლესი განათლებით არიან — ერთი თბილისში, მეორე კი მშობლიურ ცხემლისხიდში საშუალო სკოლაში ასწავლის. ზინას ძმა კომკავშირელი ვალერიანი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტია.

— სოციალისტური შრომის გმირის ზინა ცხომელიძის ბედნიერი ოჯახი საუკეთესო მაგალითია მშობლიური კომუნისტური პარტიის დაუცხრომელი ზრუნვისა თვითეული საბჭოთა ოჯახის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, — გვეუბნება ცხემლისხიდის კოლმეურნეობის მკვიდრი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ძველი ბოლშევიკი აკაკი ცხომელიძე.

ამ შესანიშნავ ბედნიერ ცხოვრებას გმირის ოჯახი უმადლის მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას.

გ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ორდენოსანი მასწავლებელი თ. ცხომელიძე (ცენტრში) თავისი ოჯახის წევრებს უკითხავს ახალ გაზეთს.
ფოტო ა. აბულაძისა.

ს ა ა რ ჩ ე ვ ნ ო უ ბ ა ნ შ ი

თბილისის № 1 სამგზავრო ავტოსარემონტო კანტორის ორსართულიან თეთრ შენობას უახლოვდებით და თქვენს ყურადღებას იპყრობს შენობის ფასადის მორთულობა. ფასადზე დიდი თეთრი ასოებით სწერია: „საარჩევნო უბანი № 41".

უბნის ამომრჩევლები დღეს ხმას მისცემენ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძეს და კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს მოწინავე, ლენინის ორდენოსან მქსოველს ცაცა ნიკოლოზის ასულ ქურციკიძეს.

შედიხართ საარჩევნო უბანში. პლაკატებითა და ლოზუნგებით ლამაზად არის გაფორმებული აგიტპუნქტი. მაგიდას უზის ქერათმიანი, ახალგაზრდა ქალი. ის საარჩევნო უბნის კომისიის მდივანი ლუბა მარჯანიშვილია. იგი გვიუბნება:

— უბანში 45 აგიტატორია. აგიტატორებმა ამომრჩევლებს გააცნეს არჩევნების დებულება, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები, საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობის მასალები და სხვ. საარჩევნო უბნის აგიტატორები ვ. დავითაშვილი, ა. იოსებაძე, ა. პუშკარევი, ს. ხრიპკო, ნ. წიკლაური, ა. ბუტიკაშვილი და სხვები ამომრჩევლებს შორის ნაყოფიერ სააგიტაციო მუშაობას ეწევიან.

საუბნო საარჩევნო კომისიამ ამ ცოტა ხნის წინათ მოიწვია ამომრჩეველთა კრება. ყველა ამომრჩეველს დაურიგდა რიგითი ნომრები. შემდეგ კლუბში უჩვენეს კინოსურათი.

დღეს № 41 საარჩევნო უბნის ამომრჩევლები, ყველა როგორც ერთი კაცი, ერთსულოვნად მისცემენ ხმას დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს.

ვ. გაბილაია.

კომუნიზმის ხილული ნიშნები

ახლა მხოლოდ მოხუცებულნი თუ გაიხსენებენ ჭვარტლიან, ისლით დახურულ ჯარგვლებსა და ქოხმახებს, ტალახიან საცალფეხო ბილიკებს, გაუვალ ეკალ-ბარდებს, სიდუხჭირესა და სიბნელეს, რაც ჩადრივით ეხვია ძველ რევოლუციამდელ ბობოყვათს. დღეს ეს სოფელი ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესია ქობულეთის რაიონში. ოქტომბრის მზემ, საკოლმეურნეო წყობილებამ წელში გამართა სოფელი.

მდინარე დეხვას გაღმა-გამოღმა გორაკებზე ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის ბაღები გადაშლილა, ფერდობები ჩაის პლანტაციებით მოხატულა. დაბლობში, ზღვის სანაპიროზე ტანმაღალი ევკალიპტები ჩამწკრივებულან. იქით ტუნგოს ბაღია, აქეთ ბამბუკის ჭალა.

მარტო ჩაის ფაბრიკით როდი ამაყობს ბობოყვათი. მდინარე დეხვას მარჯვენა ნაპირზე უზარმაზარი ორსართულიანი შენობა დგას. ეს ციტრუსების შემფუთავი ქარხანაა, რომელმაც გასულ წელს 1.532 ტონა ციტრუსის ნაყოფი მიიღო და გადაამუშავა, ანუ 577 ტონა გეგმის გადამეტებით.

სოფლის ცენტრში დგას საკოლმეურნეო კულტურის სახლი. ეს ნამდვილი სასახლეა, რომელსაც რამდენიმე დარბაზი და ათობით ოთახი აქვს. მარტო კლუბის დარბაზი 550-ზე მეტ კაცს იტევს. კულტურის სახლში მოთავსებულია სასოფლო ბიბლიოთეკა, ვრცელი სამკითხველო დარბაზი, ოთახები საწრეო მუშაობისათვის, კოლმეურნეობის აგროლაბორატორია. ამავე შენობაში რამდენიმე ოთახი კოლმეურნეობის კანტორას უჭირავს.

სოფელში მძლავრი რადიოკვანძია. მეზობელ დაგვის კოლმეურნეობასთან ერთად ბობოყვათელებს მდინარე დეხვაზე საკოლმეურნეო ელექტროსადგურიც აუშენებიათ.

განახლებული საკოლმეურნეო სოფლის ცენტრს ამშვენებს ქართული საშუალო და რუსული რვაწლიანი სკოლების ორ-ორსართულიანი შენობები. კოლმეურნეობამ საკუთარი ელექტროენერგიის ბაზაზე სახერხი ქარხანა ააშენა და მეცხოველეობის ფერმის თითქმის სრული მექანიზაცია განახორციელა. სოფლის ცენტრში გახსნილია მუშათა სასადილო. აქვეა კეთილმოწყობილი სასოფლო მაღაზია. ახლახან გაიხსნა სასოფლო საავადმყოფო 25 საწოლით, რომელსაც ორსართულიანი შენობა უჭირავს. მასში მოწყობილია სამკურნალო კაბინეტები.

კოლმეურნეთა შეძლებულობაზე, მათს კულტურულ ცხოვრებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სოფლის ცენტრში რამდენიმე წლის წინათ მოეწყო წყლით ცენტრალური გათბობა. მდინარე დეხვას ორივე მხარეს, მარადმწვანე ნარინჯოვნებით დაფარულ ფერდობებსა და ბორცვებზე ახალი კაპიტალური ორ და სამსართულიანი, მეტწილად საკურორტო ტიპის სახლები ჩამწკრივებულან. მარტო განვლილ ორ წელში 100-ზე მეტმა კოლმეურნემ აიგო ახალი კაპიტალური სახლი.

ბობოყვათი ჭეშმარიტად გმირთა სოფელია. ამ კოლმეურნეობას 15 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს. სოციალისტური შრომის გმირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გული ჯინჭარაძემ შარშან ნახევარ ჰექტარზე 8.371 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. 1948 წლიდან მოყოლებული, როცა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიიღო, მიჩენილ 0,5 ჰექტარ ფართობზე მას არასოდეს 7-8 ათას კილოგრამზე ნაკლები ფოთოლი არ მიუღია.

ბევრი რამით შეიძლება იამაყონ ბობოყვათელებმა. რამდენიმე წლის წინათ აქ ჰექტარზე ჩაის საშუალო მოსავალი 3.000-3.500 კილოგრამს არ აღემატებოდა. უკანასკნელ წლებში კი მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით თითქმის ერთიორად გაადიდეს მოსავლიანობა. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 5.878 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღეს.

კოლმეურნეებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს მეცხოველეობის განვითარებაში, მოაწყეს სანიმუშო ფერმა, შეიძინეს მაღალპროდუქტიული ჯიშიანი პირუტყვი და წველადობაც შესამჩნევად გაზარდეს.

მადლიანმა საკოლმეურნეო შრომამ ბარაქით აავსო კოლმეურნეთა სახლკარი. შარშან კოლმეურნეობამ 7 მილიონ მანეთზე მეტი ფულადი შემოსავალი მიიღო და შრომადღეზე გასცა 40,8 მანეთი ფულად გარდა მარცვლეულისა.

უსაზღვროა ბობოყვათელთა, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხის, სიხარული. ამ სიხარულს, ამ ბედნიერ და სამხურ ცხოვრებას ისინი უმადლიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყევართ.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სოფელ ბობოყვათის ცენტრი.
ფოტო ნ. ანასტასიევისა.

მე აღმზარდა პარტიამ

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს მშობლიურ სოფელ ლიძავას გამოვეთხოვე და მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში დავიწყე მუშაობა. თუმცა კარგა ხანია მას შემდეგ, მაგრამ ახლაც კარგად მახსოვს ჩემი სოფლის ლამაზი მიდამოები, იქ გატარებული ბავშვობის წლები. მაგრამ დროს თავისი მიაქვს. ჩავები ინდუსტრიული ტყვარჩელის მშრომელთა შრომითს საქმიანობაში, თანდათან ვეუფლებოდი მეშახტის რთულ პროფესიას.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში ტყვარჩელის თვითეული ტონა ქვანახშირი იგივე ყუმბარა იყო, მტრის გასანადგურებლად აფეთქებული. ეს კარგად ვიცოდით მე და ჩემმა თანამოსაქმეებმა. ენერგიას არ ვზოგავდით, მთელი მონდომებით ვმუშაობდით, რომ გეგმის გადამეტებით მიგვეცა სათბობი საყვარელი სამშობლოსათვის. ჩვენი მამაცი საბჭოთა ხალხის გმირობამ ფრონტზე და ზურგში მზე ჩაუსვენა მტერს, საბოლოოდ დაასამარა იგი.

ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ზაბეტ ჟიბა (მარცხნივ) ესაუბრება გამყვან ნ. კლემენტიევს შახტში ჩასვლის წინ.

დაიწყო გამარჯვებული საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრების წლები. მშრომელები თავდადებით მუშაობდნენ სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე, იშუშებდნენ მტრის მიერ მიყენებულ ჭრილობებს. მეც ჩემს თანამოსაქმეებთან ერთად ჩემი წვლილი შემქონდა განახლებული ცხოვრების შექმნაში...

ამჟამად ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტში მნგრეველთა ბრიგადას ვხელმძღვანელობ, იგი ერთ-ერთი მოწინავეა შახტში, ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ჩვენი ბრიგადის წევრები ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურნენ დონბასელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის თაოსნობას. ყოველ ცვლაში ჩვენი ბრიგადა გეგმის ზევით 5-6 ტონა სათბობს იღებს. ასეთ წარმატებებს ბრიგადის წევრები შრომის ორგანიზაციის კარგად დაყენებით, შრომის ახალი, მოწინავე მეთოდების გამოყენებით აღწევენ.

ჩვენი ინდუსტრიული ტყვარჩელის მეშახტეებს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა პროფესიის ადამიანს, ბედნიერი ცხოვრება აქვთ. იგი შეგვიქმნა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ.

ბედნიერებაა ცხოვრობდე ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველა მოქალაქე, რა პროფესიისაც უნდა იყოს იგი, საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ითვლება. სწორედ ასეთია ჩვენი დიადი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყანა. დიდ სიხარულს განვიცდი ყოველთვის, როცა გავიხსენებ ხოლმე, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად კომუნისტური პარტიის მზრუნველობით ვარ გარემოსილი.

ისევე, როგორც ჩვენი დიადი ქვეყნის ათასობით მშრომელი, პარტიამ აღმზარდა, მომცა გზა, მიზანი ნათელი ცხოვრებისა. ხალხმა დიდი ნდობა გამომიცხადა, მეორედ დამასახელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ეს ნდობა დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს, მას ვუპასუხებ ნაყოფიერი მუშაობით, ღირსეულ წვლილს შევიტან ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ზ. ჟიბა,
ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

ხმას აძლევს არცეველი მოხუცი...

არცევში მცირეწლოვან ბავშვსაც რომ ჰკითხოთ, ვინ არის ნონე გოიაევი, მაშინვე გიპასუხებთ:

— ჩვენი მოხუცი 92 წლისაა.

ეს ცნობილი მოხუცი 21 სულისაგან შემდგარი ოჯახის მეთაურია, მხნე, გამრჯე.

თანასოფლელები პატივისცემით, კმაყოფილებით იხსენიებენ მოხუცს, და ეს გასაგებიც არის, რადგან ნონეს ცოტა ღვაწლი როდი მიუძღვის სოფლისათვის.

ნონეს საკოლმეურნეო კანტორის წინ შევხვდით. იგი ახალგაზრდებში ჩამდგარიყო და რაღაც საინტერესო ამბავს უყვებოდა. ჭაბუკები გულმოდგინედ უსმენდნენ და ხშირად შეკითხვებით აწყვეტინებდნენ საუბარს.

მოხუცი ძველისძველ ამბებს იგონებდა, ადარებდა ახალ ცხოვრებას, ახალ ყოფას.

...სოფელი არცევი ტირიფონის ველის პირად მდებარეობს. წინათ აქ, უწყლო ველზე, სიცოცხლე ჰიდროდა, გლეხკაცობა იტანჯებოდა. გვალვისაგან დამწვარი, გადატრუსული მამული მცირეოდენ მოსავალს თუ იძლეოდა. ნონეს ახსოვს დრო, როცა ტირიფონის ველზე ერთი ნაყოფიანი ხეც კი არ იდგა. ვინ ნახავდა მაშინ იქ ვენახებს, ბაღებს. ნიადაგს წყალი სწყუროდა.

და აი გლეხთა საშვილიშვილო საქმე მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაკეთდა. ახლა მოხუცი გოიაევი ახალგაზრდებს უყვება, თუ როგორ იქნა გაყვანილი ტირიფონის სარწყავი არხი, როგორ ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა, როგორ გაჩნდნენ ბაღები და ვენახები.

არცევის მაიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობას 125 ჰექტარი ხეხილის ბაღი აქვს. იგი სოფელში კოლმეურნეობის ჩამოყალიბების შემდეგ გაშენდა და არტელის შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა. ბაღ-ვენახებმა არხის წყლის მოსვლის შემდეგ თავი იჩინეს კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზეც. ტირიფონის ველის შუაგულიდან მოჩანს ფერდობზე შეფენილი ბაღ-ვენახებში ჩაფლული არცევი. ახლა არცევის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე და ძლიერია სტალინირის რაიონში.

ნონეს ოჯახი კოლმეურნეობაში განთქმულია მუყაითი, შრომისმოყვარე და ბეჯითი ადამიანებით. მას შვიდი შვილი ჰყავს — ოთხი ქალი და სამი ვაჟი. ქალებმა ცალკე ოჯახები შექმნეს, მის სახლში ცხოვრობს ნონე მეუღლე მათიკოთი და სამი ვაჟიშვილით. სამივე ვაჟს მამისეულ დიდ, ლაღ ჭერქვეშ მოუწყვია ოჯახი. სამივეს ჰყავს ცოლშვილი. წარმოიდგინეთ, რა საინტერესო სანახავია, როცა ისინი ერთად შრომობენ, ერთად საუზმობენ თუ ვახშმობენ ან მოხუცის საუბარს უსმენენ...

გოიაევის ოჯახში განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობა. ნონეს სახლიდან 13 ამომრჩეველი წავა დღეს საარჩევნო უბანში, რათა ხმა მისცეს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ნონეს შვილები — საკო, ნესტორი და გენო კოლმეურნეობის აქტიურ წევრებად ითვლებიან. ნესტორი მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელია. ეს ბრიგადა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ბრიგადებს შორის.

ოჯახს ბევრი რამ აქვს საამაყო. შარშან ნონეს ოჯახის წევრებმა კოლმეურნეობაში 2.500 შრომადღე გამოიმუშავეს. ეს წელი ბარაქიანი წელი იყო სოფელში. შრომადღეზე კოლმეურნეობამ გაანაწილა 2,5 კილოგრამი ხორბალი, 4,3 კილოგრამი ვაშლი, აგრეთვე ლობიო, ყველი, ბოსტნეული და სხვა პროდუქტები. შრომადღეზე გაცემულ იქნა 20 მანეთი ფულად.

ნონეს ოჯახში კოლმეურნეობის ავტომანქანებმა ტონობით მოიტანეს ხორბალი, ათეულ ტონობით ვაშლი, მეცხოველეობის უხვი პროდუქტები. ნონემ და მისმა შვილებმა კოლმეურნეობის სალაროდან მიიღეს შრომადღეებზე კუთვნილი 50.000 მანეთი. ეს ოჯახი გამონაკლისი როდია სოფელში.

შეძლებულმა ცხოვრებამ ხელი შეუწყო ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ფართოდ გაშლას. არცევში ლამაზად ჩამწკრივებულან ახალაგებული კაპიტალური სახლები, რომლებშიც ანათებენ ილიჩის ნათურები, ლაპარაკობენ რადიომიმღებები.

აგიტატორებმა ნონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება გააცნეს. ძალზე მოეწონა მოხუცს ის აზრი, რომ კოლმეურნეობებს საკუთრებაში ჰქონდეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

შეძლებულად, ბედნიერად ცხოვრობს ნონე გოიაევის ოჯახი. მოხუც ნონესთან ერთად დღეს ხალხის რჩეულებს ხმას მისცემს მისი ოჯახის 13 წევრი.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ოთხ წელიწადში...

✪ მწყობრში ჩადგა № 6 შახტი ტყვარჩელში, № 8 შახტი ახალციხეში, ახალი ითხვისის მაღარო ჭიათურაში. ამუშავდა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, 1957 წლისათვის გამოშვებული იყო 42.887 ათასი მეტრი ბამბეულის ქსოვილი, აბრეშუმის ქსოვილის გამოშვება გადიდდა დაახლოებით 5.235 ათასი მეტრით.

✪ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საბინაო მშენებლობა. უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცა დაახლოებით 1,5 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

✪ 1957 წელს საქართველოში მოკრეფილი იყო 108.880 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ 1.880 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობი გაიზარდა 3.193 ჰექტარით.

✪ საქართველოში გავრცელებულია ვაზის 400-ზე მეტი ჯიში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან დღემდე რესპუბლიკაში ვენახების ფართობი გაიზარდა 10.622 ჰექტარით. 1957 წლის საერთაშორისო გამოფენაზე წარდგენილი 9 ქართული მარკის ღვინიდან „სალხინომ" და „ხიხვმა" ოქროს მედლები მიიღო, ხოლო დანარჩენი 7 მარკის ღვინომ — ვერცხლის მედლები.

საბჭოთა მთავრობის წინადადება ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვის, სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და კოსმოსის სივრცის შესწავლის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხზე

ამჟამად მთელი კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილია იმ საკითხზე, თუ როგორ იქნება გამოყენებული მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უდიდესი მიღწევები, რომლებმაც ადამიანის სამსახურში ჩააყენეს ატომგულის ენერგია და ახალი პერსპექტივები დასახეს კოსმოსის სივრცის გამოკვლევაში დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვების საშუალებით, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის ცოდნის თვალსაჩინო გამარჯვებას ბუნების ძლავრ ძალებზე. კაცობრიობის შემდგომი ბედი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, გაუწევენ სამსახურს მეცნიერებისა და ტექნიკის ეს მიღწევები მშვიდობიან მიზნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, თუ ისინი გამოყენებული იქნებიან გამალებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერებისათვის, რომელსაც შეუძლია მსოფლიო გადაჩეხოს გამანადგურებელი ომის უფსკრულში მასობრივი მოსპობის უახლეს სახეობათა იარაღის გამოყენებით.

არ შეიძლება თვალი ავარიდოთ იმას, რომ ახლანდელ პირობებში, როცა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას ახასიათებს ერთმანეთისადმი უნდობლობა და ეჭვი, როცა სახელმწიფოთა შეიარაღებაში არის ატომური და წყალბადის იარაღი და ხდება ამ იარაღის ახალ, კიდევ უფრო დამანგრეველ სახეობათა შემუშავება, ასეთი ომის საფრთხე განუწყვეტლივ დაემუქრება კაცობრიობას, თუ არ იქნა მიღწეული შეთანხმება ატომგულის იარაღის აკრძალვაზე და მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების წარმართვაზე ადამიანთა საკეთილდღეოდ მათი მშვიდობიანი გამოყენების მიზნით.

ასეთი შეთანხმების მიღწევა მოსპობდა ატომგულის იარაღის გამოყენებით ახალი მსოფლიო ომის საფრთხეს და შექმნიდა განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ბუნების ჯერ კიდევ გამოუკვლევი ძალების ერთობლივად შესწავლისა და გამოყენებისათვის, რაც ხელს შეუწყობდა კიდევ უფრო მეტ მეცნიერულ და ტექნიკურ პროგრესს ყველა დარგში, მათ შორის კოსმოსის სივრცის შესწავლისა და გამოყენების დარგში. ასეთი შეთანხმება გზას გაუკაფავდა ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას ისეთ სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საქმეში, როგორიც არის წყალდიდობა, გვალვა, ქარიშხალი, რომლებსაც დიდი ზიანი მოაქვთ ყველა ხალხისათვის; შესაძლებელს გახდიდა ერთობლივ შეტევას უდაბნოებზე და იმას, რომ წავართვათ ისინი ბუნებას ადამიანის მშვიდობიანი და შემოქმედებითი შრომისათვის და ხელს შეუწყობდა ღონისძიებათა გაერთიანებას ავადმყოფობათა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, რომლებსაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე მიაქვთ.

ამჟამად სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ დარგებში უკვე პრაქტიკულად ხორციელდება. ჩვენს დროში ასეთი თანამშრომლობის შესანიშნავი მაგალითია ერთობლივი გამოკვლევები, რასაც მთელი მსოფლიოს მეცნიერები აწარმოებენ საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამით. ამ პროგრამის ჩარჩოებში მეცნიერები მჭიდროდ თანამშრომლობენ მეტეოროლოგიის დარგში, ანტარქტიკის, ოკეანეების, დედამიწის მაგნეტიზმის, იონოსფეროს, კოსმოსური სხივების გამოკვლევაში და სხვ.

მაგრამ ასეთი თანამშრომლობა, უეჭველია, შეიძლება მნიშვნელოვნად გაფართოვდეს და გავრცელდეს ადამიანის საქმიანობის ბევრ სხვა სფეროზე, თუ მიღწეულ იქნა შეთანხმება განიარაღების პრობლემის რადიკალური გადაწყვეტის შესახებ, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღის სრული აკრძალვა, სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია და სხვ. ეს თანაბრად უზრუნველყოფს ყველა სახელმწიფოს უშიშროებას და შექმნის ისეთ მდგომარეობას, როცა მსოფლიოს ყველა ხალხს შეეძლება იცხოვროს მშვიდად და არ ეშინოდეს თავისი ხვალინდელი დღისა.

ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთელმა რიგმა სახელმწიფო მოღვაწეებმა გააკეთეს განცხადებები, რომლებშიც აყენებენ ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვის საკითხს. პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თავის ამასწინანდელ წერილებში ნ. ა. ბულგანინისადმი აგრეთვე შეეხო ამ საკითხს. მან მხარი დაუჭირა ომის მიზნებისათვის განკუთვნილი რაკეტების გამოსაცდელად კოსმოსის სივრცის გამოყენების შეწყვეტას, აგრეთვე ისეთი იარაღის წარმოების შეწყვეტას, რომელიც ითვალისწინებს საპლანეტთაშორისო სივრცის გამოყენებას. გამოდის რა ამ წინადადებით, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი განიარაღების საერთო პრობლემიდან გამოჰყოფს მხოლოდ ერთ საკითხს — საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური ყუმბარების საკითხს, — და განზე ტოვებს ამ პრობლემის სხვა ფრიად დიდმნიშვნელოვან მხარეებს. ფაქტიურად მოითხოვენ აიკრძალოს მხოლოდ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები.

მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ კაცობრიობისათვის საფრთხეს წარმოადგენენ არა საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, როგორც ასეთები, არამედ ატომური და წყალბადის ბომბები, რომლებიც შეიძლება მოთავსდეს ამ რაკეტებში მათი ჭურვების სახით. ეს გასაგებიც არის, რამდენადაც ამა თუ იმ რაკეტის მშვიდობიანი თუ სამხედრო დანიშნულება დამოკიდებულია არა მისი კონსტრუქციის საინჟინრო-ტექნიკურ თავისებურებებზე, არამედ იმაზე, — მიაქვს მას მშვიდობიანი თანამგზავრი, კოსმოსის გამოსაკვლევი ხელსაწყოები თუ ატომის ჭურვი ატომური და წყალბადის ბომბების სახით, რომლებიც განკუთვნილია მასობრივი მოსპობისა და ნგრევისათვის.

საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნა უკვე მომხდარი ფაქტია. მეცნიერებამ და ტექნიკამ თავის უახლოეს ამოცანებად დაისახეს საპლანეტთაშორისო სივრცეში კიდევ უფრო მძლავრი კოსმოსური რაკეტების გაშვება. ასეთია მეცნიერული და ტექნიკური აზროვნების განვითარების მსვლელობა, და ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია და არც არის კაცობრიობის ინტერესების სასარგებლო. სახელმწიფო მოღვაწეთა პასუხისმგებლობა სწორედ იმით გამოიხატება, რომ ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმართონ მისი მხოლოდდამხოლოდ მშვიდობიანი გამოყენების გზით, რათა საკონტინენტთაშორისო და ყოველი სხვა რაკეტები გამოყენებულ იქნას არა ადამიანთა მოსასპობად, არამედ მშვიდობიანი კვლევისათვის, საპლანეტთაშორისო სივრცის დაპყრობისათვის.

მაგრამ დამახასიათებელია, რომ შეერთებული შტატები, წინადადებას იძლევიან რა აიკრძალოს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტი, ამავე დროს მთელ თავიანთ სამხედრო გეგმებს საფუძვლად უდებენ ატომური და წყალბადის ბომბების გამოყენებას ახლო და საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტებში, რომლებიც მათ უკვე აქვთ, და იღებენ გამალებულ ღონისძიებებს არსებული რაკეტების სრულყოფისა და ახალი ტიპების რაკეტების შექმნისათვის. ამას მოწმობს ამ ბოლო დროს გაძლიერებული გამალებული ატომური და რაკეტული შეიარაღება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე უმაგალითო მასშტაბით ხორციელდება. რაკეტების, ატომური და წყალბადის ბომბების კონსტრუირებასა და წარმოებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ასიგნებულია კოლოსალური სახსრები — მრავალი მილიარდი დოლარი.

ატომგულის ჭურვით აღჭურვილი ეს რაკეტები განკუთვნილია სხვის ტერიტორიებზე მდებარე მრავალ ამერიკულ სამხედრო ბაზაში განსალაგებლად. არავისათვის საიდუმლოება არ არის და ამაზე აშკარად ლაპარაკობენ ამერიკელი სამხედრო მოღვაწეები, რომ ეს ბაზები და რაკეტები განკუთვნილია საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი ცენტრებისათვის დარტყმის მისაყენებლად. იბადება კანონიერი კითხვა — განა ეს სომარი მზადება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორციელდება, არ წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საბჭოთა კავშირისა და მისი მეგობარი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების უშიშროებისათვის? მაშ რატომ არის ამერიკის წინადადებებში დასმული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების აკრძალვის საკითხი, რომლებიც საპასუხო დარტყმის წესით, და მხოლოდ ამ შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ობიექტების წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, და ამავე დროს გვერდი აქვს ავლილი საკითხს იმის შესახებ, რომ ლიკვიდირებულ იქნას სხვის ტერიტორიებზე ამერიკის სამხედრო ბაზები, განკუთვნილი რაკეტების გასაშვებად, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებაშია, და ამერიკის ბომბდამშენი ავიაციის ბაზირებისათვის?

განა ატომური და წყალბადის ბომბები, რომლებსაც გადმოჰყრიან, მაგალითად, ევროპასა ან ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ამერიკული სამხედრო ბაზებიდან გამოფრენილი თვითმფრინავები, ნაკლებ საშიშია ადამიანებისათვის, ვიდრე საკონტინენტთაშორისო რაკეტებით გადატანილი ბომბები? რა თქმა უნდა, არა. ატომურ და წყალბადის ბომბებს შეუძლიათ ერთნაირად დათესონ სიკვდილი და ნგრევა მიუხედავად იმისა მიიტანეს ისინი მიზანთან საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტით, თუ ჩამოყარეს სამხედრო ბაზებიდან ბომბდამშენების და ატომური და წყალბადის იარაღის მიტანის სხვა საშუალებათა დახმარებით.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ, როცა აღძრავენ ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვის საკითხს, შეერთებული შტატები ისწრაფვიან, რომ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების აკრძალვის გზით თავიდან აიცილონ კოსმოსის სივრციდან ატომგულის საპასუხო დარტყმა და ამავე დროს საკუთარ ხელში შეინარჩუნონ სხვის ტერიტორიებზე მრავალი სამხედრო ბაზა, რომლებიც განკუთვნილია საბჭოთა კავშირისა და მის მეგობარ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებზე თავდასხმისათვის ატომგულის იარაღის გამოყენებით. საკონტინენტთაშორისო რაკეტის გამოჩენამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრნი ფიქრობდნენ, რომ ამერიკის ტერიტორია შედარებით უვნებადია, მიაჩნდათ რა, რომ ომის შემთხვევაში საპასუხო დარტყმის სიმძიმე მთლიანად დაატყდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებს, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის სამხედრო ბაზები. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნამ ძირეული ცვლილება შეიტანა ვითარებაში, არივდარია აღნიშნული ვარაუდები. სწორედ ამით აიხსნება მისწრაფება თავიდან აიცილონ ეს ახალი ფაქტორი — აკრძალონ საკონტინენტთაშორისო რაკეტი, მაგრამ ამავე დროს შეინარჩუნონ საკუთარ ხელში სამხედრო ბაზები, რომლებიც წინ წაწეულია ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებიდან და ახლოა სსრ კავშირის საზღვრებთან.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება ასეთ მიდგომას იმ საკითხის გადაჭრისადმი, რომელიც გაითვალისწინებდა ერთი სახელმწიფოების უშიშროების ინტერესებს და ამავე დროს ანგარიშს არ გაუწევდა სხვა სახელმწიფოების უშიშროების ინტერესებს.

საჭიროა გამოინახოს საკითხის ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ერთნაირად უზრუნველყოფდა ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირისა და ყველა სხვა სახელმწიფოს უშიშროებას. ამის შესაბამისი იქნებოდა ისეთი ღონისძიების განხორციელება, როგორიც არის ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვა და ამავე დროს უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვის ტერიტორიებზე, პირველ რიგში ევროპის, ახლო და შუა აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ტერიტორიაზე.

ყველა სახელმწიფოს უშიშროების ინტერესების მაქსიმალურად შესაძლო უზრუნველყოფის, აგრეთვე მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის სივრცის კვლევის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ინტერესების მიზნით საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება დაიდოს ფართო საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც იქნება შემდეგი ძირითადი დებულებანი:

1. ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვა და სახელმწიფოთა ვალდებულება აწარმოონ რაკეტების გაშვება კოსმოსის სივრცეში მხოლოდ შეთანხმებული საერთაშორისო პროგრამის შესაბამისად.

2. უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და პირველ რიგში ევროპაში, ახლო და შუა აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში.

3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში შესაბამისი საერთაშორისო კონტროლის დაწესება 1 და 2 პუნქტებში აღნიშნულ ვალდებულებათა განხორციელებისადმი.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანოს შექმნა კოსმოსის სივრცის შესწავლის დარგში, რომელსაც შეეძლება შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

— შეიმუშაოს კოსმოსის სივრცის შესწავლის მიზნით საკონტინენტთაშორისო და კოსმოსური რაკეტების გაშვების შეთანხმებული საერთაშორისო პროგრამა და თვალყური ადევნოს ამ პროგრამის განხორციელებას.

— განაგრძოს მუდმივ საფუძველზე კოსმოსის სივრცის ის გამოკვლევა, რომელიც ამჟამად წარმოებს საერთაშორისო გეოფიზიკური წლის ფარგლებში.

— იყოს მსოფლიო ცენტრი კოსმოსის გამოკვლევის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, ურთიერთგაცვლისა და გავრცელებისათვის.

— მოახდინოს ეროვნული მეცნიერულ-კვლევითი გეგმების კოორდინაცია კოსმოსის სივრცის შესწავლის დარგში და ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა გაუწიოს მათ განხორციელებას.

საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას თათბირზე მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება მასზე თუნდაც პრინციპულად.

საერთო საერთაშორისო შეთანხმების შემუშავების მიზნით, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა სახელმწიფოს, საბჭოთა მთავრობას ამავე დროს აღნიშნული საკითხი შეაქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიის განსახილველად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეუძლია შეიტანოს და კიდევაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის ისეთი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში, როგორიც არის ომის მიზნით კოსმოსის სივრცის გამოყენების აკრძალვა და სხვის ტერიტორიებზე უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია. ამ ღონისძიებათა განხორციელება მკვდარი წერტილიდან დასძრავდა განიარაღების პრობლემას, მნიშვნელოვანწილად შეუწყობდა ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებასა და ადამიანის საქმიანობის ბევრ დარგში ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

საბჭოთა მთავრობის ამ წინადადების მიღება ბევრად შეამცირებდა ატომგულის იარაღის გამოყენებით ომის წარმოშობის საფრთხეს, დიდი ნაბიჯი იქნებოდა ატომური და წყალბადის იარაღის სრული და უთუო აკრძალვის, შეიარაღებიდან მისი ამოღების გზაზე და ხელს შეუწყობდა სახელმწიფოთა შორის ფართო და ეფექტიანი თანამშრომლობის განვითარებას მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის სივრცის გამოკვლევის დარგში.

1958 წლის 15 მარტი.

მანეჟზე არიან სომხეთის მსახიობები



უკვე რამდენიმე დღეა თბილისის სახელმწიფო ცირკში წარმატებით გამოდის სომხური ცირკის მსახიობთა კოლექტივი. ეს კოლექტივი თავისი არსებობის სულ ორ წელს ითვლის. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებულია სომხეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან, რომელიც 1956 წელს გაიმართა მოსკოვში.

ერევნის საცირკო კოლექტივის სპექტაკლი იწყება პარად-პროლოგით „ქორწილი", რომელშიც გამოდის მსახიობთა მთელი კოლექტივი ხალხური მუსიკის, ცეკვების ჩვენებით. პირველი სანახაობიდანვე მაყურებელს იპყრობს მხიარული განწყობილება, რომელიც რჩება მთელი წარმოდგენის განმავლობაში.

და აი თბილისელების თვალწინ მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგებიან სომხური ცირკის როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა ოსტატები. მომხიბლავია თამარ და არტურ მინასიანების აკრობატიკული ეტიუდი, რომელიც გამოირჩევა შესრულების სიზუსტით, სილამაზით, პლასტიკურობით. დიდი მღელვარებით ადევნებს თვალს მაყურებელი სომხური ცირკის მხატვრული ხელმძღვანელის, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის, ცირკის ძველი ოსტატის ვაღარშაკ არზუმანიანისა და მისი პარტნიორის ვერა არზუმანიანის რთულ და გაბედულ ეკვილიბრისტულ ნომრებს.

ტემპერამენტიანად და ზუსტად ასრულებენ რთულ ნომრებს მუშაითები — საბელზე მოთამაშენი ნ. მანუკიანი და დაღესტნის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. კურბანოვი. მაღდასიანების ჯგუფს აქვს ორიგინალური და ლამაზი ნომერი — „ბრინჯაოს ჯგუფი". ისინი ბრინჯაოსფრად შეღებილები ქმნიან სიუჟეტიან აკრობატიკულ ნომრებს, რომლებიც მაყურებელზე ანტიკური ქანდაკებების შთაბეჭდილებას ახდენენ.

მოწონებას იმსახურებს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატის ბორის გაზარიანის გამოსვლა. იგი თავის მსახიობთა ჯგუფთან ერთად მაყურებელს უჩვენებს ბურთებზე რთულ აკრობატიკულ ნომრებს. ლამაზ პლასტიკურ ეტიუდს აჩვენებს მ. პაპიანიც. მხიარულ განწყობილებას უქმნიან მაყურებელს ძაღლების მწვრთნელის, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის შ. გევორქიანის ოთხფეხა „მსახიობები".

განსაკუთრებით ორიგინალურად არის შექმნილი სტეფანე ისაკიანის ეგზოტიკური ატრაქციონი... არენაზე ჯერ ბნელა, მერე ნელ-ნელა თენდება. მაყურებლის თვალწინ გადაიშლება აფრიკის პეიზაჟი, რომლის ფონზე ისაკიანი აჩვენებს თავის გაწვრთნილ ცხოველებს — ნიანგს, ბეჰემოტებს და აფრიკის სხვა ბინადართ.

მოწონებას იმსახურებენ მუსიკალური ექსცენტრიკოსები კისელი (ვ. გავრილოვი) და კლიუკვა (კ. ივანოვი), მსახიობთა ჯგუფი (ცხენოსნობის უმაღლესი სკოლა) თურქმენეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. კალგანოვის ხელმძღვანელობით, აგრეთვე საჰაერო გიმნასტები კუზმენკა — ქელოვეცი.

მთელი საღამოს განმავლობაში პაუზებს ოსტატურად ავსებენ კომიკოსი ექსცენტრიკოსები სიკო (რ. არუთინიანი) და საქო (ლ. მინერალიანი).

საერთოდ უნდა აღინიშნოს სომხური ცირკის სპექტაკლის შესანიშნავი მხატვრული გაფორმება, მსახიობთა ლამაზი კოსტიუმები, გემოვნებით შერჩეული ფერები, რაც დიდად უწყობს ხელს პროგრამის წარმატებას.

ლ. ხუგულური.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — „ბრინჯაოს ჯგუფი" — მაღდასიანები; მარჯვნივ — გაზარიანების აკრობატიკული ნომერი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლების პირველი სპექტაკლი

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა — ერევნის ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა თბილისელ მაყურებლებს უჩვენა პირველი საგასტროლო სპექტაკლი — გამოჩენილი სომეხი კომპოზიტორის ა. ტიგრანიანის ოპერა „ანუშ".

ქართველ მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვეს როგორც ოპერა „ანუშის" უაღრესად მელოდიურმა მუსიკამ, ისე მისმა საუცხოო შემსრულებლებმა: თბილისელთათვის კარგად ცნობილმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. გასპარიანმა (ანუშ), სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ა. პეტროსიანმა (სარო), სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. გრიგორიანმა (მოსი), მსახიობებმა ა. ღარიბიანმა (ანუშის დედა), ს. ვანიკიანმა (საროს დედა), კ. მარკოსიანმა (კეხვა), გ. ივანიანმა (ოჰანი) და სხვ.

ოპერის დადგმა ეკუთვნის სომხეთის სსრ სახალხო არტისტს ა. გულაკიანს, მხატვრობა — სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებულ არტისტს ა. მირზოიანს, ხორმეისტერია სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი კ. კარაპეტიანი. საუცხოოდ ჟღერდა ა. ტიგრანიანის მუსიკა ოპერის თეატრის ორკესტრის შესრულებით, რომელსაც დიდი ოსტატობით დირიჟორობდა სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი რ. სტეპანიანი.

რედაქტორი პ. რატიანი.

სსრ კავშირის მთავრობის განცხადება

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა ა. წ. 7 მარტს სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოყვანილია ცნობები სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში უცხოეთის ჩარევის შესახებ, რაც ხელს უშლის ვიეტნამის გაერთიანებას ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად. და წამოყენებულია დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი ამ შეთანხმებათა განხორციელების მიზნით.

საბჭოთა მთავრობა უცვლელად უჭერს მხარს ვიეტნამის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა სრულ და განუხრელ განხორციელებას. ამასთან იგი ხელმძღვანელობს იმით, რომ ვიეტნამის გაერთიანება ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის 1954 წლის თათბირის დასკვნითი დეკლარაციის დებულებათა შესაბამისად წარმოადგენს ინდოჩინეთში მტკიცე მშვიდობის მთავარ პირობას და ხელს შეუწყობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობის განმტკიცებას.

როგორც ცნობილია, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ 1955 წლის ივნისში გამოთქვა მზადყოფნა დაიწყოს კონსულტაციები ვიეტნამის ორი ნაწილის ხელისუფალთა კომპეტენტურ წარმომადგენლებს შორის, რათა მომზადდეს საყოველთაო არჩევნების მოწყობა ვიეტნამის გაერთიანებისათვის. აღნიშნული კონსულტაციების მოწყობას ერთობლივად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა, რომლებიც წარმოადგენენ ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის ორ თავმჯდომარეს. მიუხედავად ამისა აღნიშნული კონსულტაციები დღემდე არ გამართულა და საყოველთაო არჩევნები არ განხორციელებულა.

ვიეტნამი კვლავ გათიშული რჩება.

საბჭოთა მთავრობა იზიარებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრს იმის შესახებ, რომ ამ არანორმალური მდგომარეობის მთავარი მიზეზია უცხოეთის ჩარევა სამხრეთ ვიეტნამის საქმეებში, რომლის მიზანია მისი გადაქცევა სამხედრო პლაცდარმად, რომელიც მიმართული იქნება უწინარეს ყოვლისა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების საყოველთაოდ ცნობილი მოქმედება სამხრეთ ვიეტნამის მილიტარიზაციისათვის, ამერიკული იარაღისა და სომარი მასალის განუწყვეტელი მიწოდება ვიეტნამის ამ ნაწილში, ცდები მოაქციონ იგი სეატოს პაქტის ეგრეთწოდებულ „მოქმედების ზონაში" წარმოადგენს საშიშ ნაბიჯს არა მარტო ვიეტნამელი ხალხისათვის, არამედ აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში მშვიდობის შენარჩუნების საქმისათვის.

ამის საწინააღმდეგოდ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა თავისი შეიარაღებული ძალების შემცირება 80 ათასი კაცით, აგრეთვე სამხედრო ხარჯების შემცირება, გამუდმებით ეძებს გზებს ვიეტნამის ორ ნაწილს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. ამჟამად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სთავაზობს სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთ მოეწყოს უახლოეს დროში ორივე მხარის კომპეტენტურ ხელისუფალთა წარმომადგენლების შეხვედრა იმ მიზნით, რომ ერთობლივად განიხილონ მათი შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების საკითხი და შეისწავლონ ვიეტნამის ორ ნაწილს შორის სავაჭრო გაცვლის დაწესების ღონისძიებანი, რათა ხელი შეუწყონ მათ დაახლოებას და მოამზადონ პირობები არჩევნების მოწყობის შესახებ კონსულტაციების განსახორციელებლად ვიეტნამის გაერთიანებისათვის ჟენევის შეთანხმებათა საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობა სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამ ახალ ინიციატივას და მიაჩნია იგი სერიოზულ ნაბიჯად, რომლის მიზანია შექმნას საჭირო ნდობა ვიეტნამის მხარეებს შორის და ამით ხელი შეუწყოს ვიეტნამის მშვიდობიან გაერთიანებას. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მზადყოფნა განახორციელოს ზემოაღნიშნული ღონისძიებანი უცილობელი წვლილია ხალხთა მეცადინეობაში ბოლო მოუღონ „ცივ ომს" და საერთაშორისო დაძაბულობას, უზრუნველყონ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია პრემიერ-მინისტრ ფამ ვან დონგის 7 მარტის წერილში, სავსებით შეესაბამებიან მთელი ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. ამ წინადადებათა მიღების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფდნენ იმ ეკონომიური პრობლემების გადაჭრას, რომლებითაც დაინტერესებულია ვიეტნამის ორივე ნაწილი, და ვიეტნამის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ ამ წინადადებებს დადებითად გამოეხმაურებიან როგორც სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალნი, ისე ინდოჩინეთის საკითხზე ჟენევის თათბირის მონაწილე ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, მთავრობები, აგრეთვე ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მთავრობები. ვიეტნამელი ხალხისა და ინდოჩინეთში მშვიდობის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ შეწყდეს უცხოეთის ჩარევა სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში, ყოველი ღონისძიებით შეეწყოს ხელი ვიეტნამის ორ ნაწილს შორის მეგობრული თანამშრომლობის დამყარებას და ამით ჟენევის შეთანხმებათა შესაბამისად ვიეტნამის გაერთიანებას ერთიან დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოდ.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — სევანი (დღისით), რომეო და ჯულიეტა (საღამოს) — ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები, **რუსთაველის სახელობის** — საუნჯე (საღამოს) — გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის სპექტაკლი, **მარჯანიშვილის სახელობის** — არსენა მარაბდელი (დღისით), ვისია, ვისი?! (საღამოს) — გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის სპექტაკლები, **მუსიკალური კომედიის** — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ (დღისით), საყვარელი დისშვილი (საღამოს), **სომხური დრამის** — ოქროს ქალაქი (დღისით), კამო (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ცხოვრების ფურცელი (11 ს. და 3 ს. 30 წ.), **თოჯინების ქართული**—დიდი ივანე (12 ს.), ჭკუა და გამოცდილება (3 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — სიცოცხლე ან სიკვდილი. **სპარტაკი** — ისინი ხუთნი იყვნენ. **თბილისი** — დუნაის ქალიშვილი, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ივნისის დღეები, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), სევანელი მეთევზეები.

ხელმოწერა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ჟურნალებზე მიმდინარე წლის მეორე ნახევრისათვის მიიღება 1 მაისამდე.

„სოიუზპეჩატი"

ტელეგადაცემათა პროგრამა 16 მარტისათვის

დილით

12.00 — „დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია" — რეპორტაჟი საარჩევნო უბნიდან, 12.20 — „მხიარული კონცერტი", 13.10 — დოკუმენტური ფილმი „ილია ჭავჭავაძე", 14.00 — „რას ვნახავთ ჩვენს ეკრანზე".

საღამოს

19.30 — „დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებია" — ფოტორეპორტაჟი საარჩევნო უბნიდან. 19.40—სატელევიზიო ჟურნალი „ხელოვნება" № 5, 21.00 კინოკომედია „თაფლობის თვე".

17 მარტისათვის

19.30 — კინოჟურნალი, 19.40 — კონცერტი ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით.

20.20 — გადაცემა ციკლიდან „მსოფლიოს რუკასთან" — კინონარკვევი „ავტომანქანით ინდოეთში", 21.00 — მუსიკალური კინოკომედია „ორი გამარჯვება".

უე 00688

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, „კომუნისტი" ლენინის ქ. № 14.